

როზეტა გუჯავიანი

ერთი საქართველო-ქართველი ენობრივ-კულტურული ტერმინის შესახებ  
(*"ქორ"-ი*)

ტერმინი *"ქორ"*-ი თანამედროვე საქართველოს რამდენიმე ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემში (სვანეთი, თუშეთი, ხევსურეთი, რაჭა და ა. შ.) და აგრეთვე, ისტორიული საქართველოს ერთ ნაწილში — შავშეთში (იმერხევში<sup>1</sup>) საცხოვრებელ ან სამეურნეო ნაგებობებთან აღმნიშვნელია, ანუ სადღესოდ ეს ძველი ქართული სიტყვა შემოგვინახა ქართული ენის სვანურ, ფხოვურ, რაჭულ, იმერხულ დიალექტებში და ამ მხარეების ყოფაში. ძველად კი ეს ტერმინი გავრცელებული უნდა ყოფილიყო მთელ საქართველოში. ამას მოწმობს ქართული ეთნოგრაფიული მასალა და წერილობითი წყაროები, მაგალითად, ამ ძველი ქართული სიტყვის სულხან-საბასეული დეფინიცია: *"ქორი სახლზედ სახლი აგებული; ქორი არს სახლის ერდოზე სახლი; ქორი არს სახლსა ზედან სახლი დგმული კამაროსანი ანუ სართულოსანი გინა ფიცართა; ხოლო ქორედ-ქორედი ოთხი-ხუთი სახლი სახლზედ შენებული, სამი-ოთხი სახლი ზეჟვემოებითა"* (სულხან-საბა ორბელიანი, 1993, გვ. 231—232).

სწორედ ამ მნიშვნელობის მქონეა ეს ტერმინი დღესაც *სვანეთსა და ისტორიული საქართველოს ერთ ნაწილში — იმერხევში*: ქართული ენის სვანურ დიალექტებზე საცხოვრებელ ნაგებობას *"ქორ"*-ი ჰქვია. ქორი, ტრადიციულად, გულისხმობს ძველებურ საცხოვრებელ ნაგებობასაც და თანამედროვე ტიპის სახლსაც, ხოლო ისტორიულ საქართველოში, კერძოდ, იმერხევში ქორი სამეურნეო ნაგებობის სახელია.

ტრადიციული სვანური ქორი ჩვეულებრივ, ორ-სამ სართულიან ნაგებობას წარმოადგენს, ანუ იგი ზუსტად ესადაგება ამ ტერმინის სულხან-საბასეულ დეფინიციას და ამ მიმართულებითაც ქართული ენის სვანურმა დიალექტებმა შემოინახეს ისეთი ძირძველი ქართული სიტყვა, რომელიც საქართველოს სხვა მხარეებში თითქმის დაკარგულია. იგივე ითქმის ტრადიციული სვანური დასახლების მეორე უმნიშვნელოვანეს კომპონენტზე — *მურყვამზეც*. ცნობილია, კოშკი უცხოური წარმოშობის სიტყვაა. ივანე ჯავახიშვილს დადგენილი აქვს, რომ ტერმინი კოშკი პირველად IX საუკუნეში შემოვიდა საქართველოში სპარსეთიდან და არაბეთიდან, მანამდე კი ამგვარივე ნაგებობის აღსანიშნავად ქართველებს სხვა ტერმინი გვქონდა: *ძველად, კოშკზე ადრე, თავდაცვით ნაგებობას საქართველოში მურყვამი//მურყვანი ეწოდებოდა*. ამ დასკვნამდე ივანე ჯავახიშვილი, გარდა სვანური მასალისა, მიჰყავს იმ ეთნოგრაფიულ ფაქტსაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ფშავი, ხევსურეთი, თუშეთი) ერთ-ერთ დვთაებას — *"პირიმზეს"* *"მურყვნოსელ"*-ს უწოდებენ. *"მურყვნოსელი"*, ცხადია, *"მურყვამიდან"* ნაწარმოები სიტყვაა და იმ პირს მიესადაგება, ვინც მურყვამის ანუ კოშკის მფლობელია, ამ შემთხვევაში

<sup>1</sup> იმერხევის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა შეკრებილია 2007 წლის აგვისტოში, ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის კომპლექსური ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი პროფ. ტარიელ ფუტყარაძე).

კი — "ღვთაებას, რომელსაც კოშკი აქვს" (ივ. ჯავახიშვილი, 1946, გვ. 40-44). ივანე ჯავახიშვილის დაკვირვებას იზიარებს მიხეილ გეგეშიძეც (მ. გეგეშიძე, 1982, გვ. 78-79).

სვანური ქორი ითავსებდა საცხოვრებელ და სამეურნეო ფუნქციებს, ხოლო ზოგიერთ ქორს თავდაცვითი ფუნქციაც გააჩნდა. ამავე კომპლექსში იყო მოქცეული კოშკიც: ქორის გვერდით მურყვამი (კოშკი) გახლდათ აღმართული. კოშკში გასასვლელი ქორის მეორე სართულიდან (დარბაზ//მკეები) გადიოდა. ასეთი ტიპის ქორს "სვანირს" უწოდებენ (ა. ქალღანი, 1974).

ქორს ქვისაგან აგებდნენ. სვანეთში ხის სახლებს მხოლოდ დროებითი სარგებლობისათვის იყენებდნენ. ქორის პირველი სართული მაჩვიბი/მაჩუბი დაახლოებით 90-140 კვადრატული მეტრის ფარგლებს მოიცავდა. ამ სართულზე საქონლის სადგომს 45-60 კვადრატული მეტრი ეკავა, დარჩენილი ფართი ადამიანის საცხოვრებლად იყო განკუთვნილი (ა. ქალღანი, 1978, გვ. 83-87). სამეურნეო სადგომი და სათავეები ადამიანთა სამყოფისაგან მოჩუქურთმებული ტიხრებით იყო გამოყოფილი. შუაგულში კერა ჰქონდათ გამართული. ქორის მეორე სართული — მკეები//დარბაზ მრავალფუნქციური იყო: ზაფხულობით ოჯახი ადიოდა საცხოვრებლად, ზამთრობით საქონლის საკვების შესანახად იყენებდნენ. ტერმინი "ქორ"-ი ეწოდა ახალი ტიპის სახლებსაც. ხოლო "სახლელუს", ოჯახის წევრებს — და ასევე, ზოგადად, საძმოს "ქორშარ" — ს უწოდებენ.

ისტორიული საქართველოს ერთ ნაწილში — იმერხევში "ქორ"-ი ხის ორ-სამ სართულიან ნაგებობას ჰქვია. ეს ნაგებობა სამეურნეო დანიშნულებისაა, საბძელია. უმრავლეს შემთხვევაში, ქორი ორსართულიანია. აგებულია ჰორიზონტალურად დაწყობილი ხის ძელებისაგან. ზედა სართული წინა მხრიდან ღია ფარდულია და იქ თივას ინახავენ, ქვედა სართულზე კი — ჩალასა და ნეკერს.

ფუძე "ქორ" მოჩანს, აგრეთვე, მრავალ სიტყვასა და ეთნოგრაფიულ ტერმინში: "ქორბელელა" სარიტუალო ფერხულის სახელია; "ქორაი"-ს ეპითეტით ამკობდნენ ლაშარის ჯვარში შესაწირავად მიყვანილ ზვარაკს: "დადგეთ, ფშაველი შვილებო, თუ გწამს ლაშარის ჯვარია, სპხვეწრად მამიყვანია თეთრი ქორაი ქარია"; ქორედი, ქორეთი, ქორთუხი, ქორბელელაჟი ქართულ ტრადიციულ ხუროთმოძღვრებაში გამოყენებადი ტერმინებია; ქორაპი ხის სახელია ქართლში; გვაქვს სოფლები — ქორეთი, ქორენია და ა. შ.

ზოგან, მაგალითად, ქვემო რაჭაში, ქორი//ქორეთი სახლის ერთი ნაწილია: "ღირეებს შუაზე ჩამოეკიდებოდა კაჩა (ქვაბის ცეცხლზე შემოსადგამი)... კაჩას ქვეშ ცეცხლი გვენთო. ერთ ღირეზე კაჩას ერთი ერთი მხრით გაედებოდა ფიცრები. ასე გაკეთდებოდა ქორეთი. ქორეთზე ვინახავდით წლის მოსავალს: სიმინდს, ლობიოს, მუხუდოს, კვახს, ხილსაც ვინახავდით" (მასალები... 1976, გვ. 329).

ფუძე "ქორ"-ი გვხვდება გურიის ტრადიციულ ყოფაშიც: "ჯარგუალს და დოლ სახლს ძელებს ცულით უთლიდენ და ორხელით ასწორებდნენ, შემდეგ შემოვიდა ჩვენში (რაქველებმა შემოიტანეს) გრძელი ხერხი ქორთუხის (ტოგონის) ძელებად დასახერხათ" (მასალები... 1976, გვ. 407).

თუმცა "ქორ"-ი შემონახულია ხალხურ ხითხუროთმოძღვრებაშიც, ტერმინ "ქორბელელაჟი" მოკლე ნაჭერი ხეებისაგან აგებული

სვეტია. თვითნებულ ამ ნაჭერ ხეს ეწოდება "ლიკვი". "ლიკვები" წყვილ-წყვილი ეწყობა ერთიერთმანეთზე: წყვილი ერთ მხარეს, წყვილი მეორე მხარეს. შუა "ქორბელელაჟი" მაღალია, მის აქეთ-იქითა — საშუალო, ნაპირისა — დაბალი... ქორბელელაჟი ეწოდება აგრეთვე: ერთიერთმანეთზე გარდიგარდმო დაწყობილ შეშის წყობას. შეშა ნედლია და გასაშრობად აწყობენ ასე" (გ. ბოჭორიძე, 1993, გვ. 39).

შეშის დაწყობის ამგვარ წესს გ. ბოჭორიძე სხვაგან უფრო დაწვრილებით აღწერს: "მსხვილ ხეს ჯერ დასჭრიან "გაღე"-ებად, მერმე "გაღე"-ებს დახეთქავენ "ფენგარა"-ებად, ან კიდევ — შეშად. შემდეგ როდღე ნაჭერს ერთმანეთზე აწყობენ: ორს ერთ მხარეს, ორს — მეორე მხარეს და ასე აშყავთ მაღლა. ასეთ დაწყობილ შეშას "ქორბელელა" ეწოდება" (გ. ბოჭორიძე, 1993, გვ. 263).

ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის განკუთვნილი მასალების შემკრებმა ჯგუფმა დაასკვნა, რომ "ქორეთი, ანუ ქორი, ან კიდევ ქორედი სახლზე დაშენებული სახლია, იგი საცხოვრებელი სახლია და არა სამეურნეო ნაგებობა. მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ისევე როგორც ახლა ნაწილობრივ დასავლეთ საქართველოში გვხვდება, მეორე სართული წინადაც ჭირნახულის შესანახად ყოფილიყო განკუთვნილი და ერთ დროს ის მხოლოდ და მხოლოდ ჭირნახულის შესანახს წარმოადგენდა" (მასალები... 1976, გვ. 341).

ბუნებრივია, ერთი მეორეს არ გამოირიცხავს: საქართველოს ამა თუ იმ მხარეში სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გვქონდა. ზოგან ერთ ჭერქვეშ თავსდებოდა ყველა ფუნქციისა და დანიშნულების სათავსო, სხვაგან საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები გამიჯნული და კარ-მიდამოში მიმობნეული იყო. ზოგიერთ მხარეში კი, მაგალითად სვანეთში, ხევსურეთში, ხევში, თუშეთში... სახლი//ქორი საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულებასთან ერთად თავდაცვის ფუნქციასაც ასრულებდა. ამ მხარეებში სახლი (რომელიც რამდენიმე სართულიანი იყო, მაგალითად, სვანეთში ხუთსართულიანი კოშკებიც გვხვდება) ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში ითავსებდა ყველა იმ ფუნქციას, რომლის ამა თუ იმ მახასიათებლის აღმნიშვნელადაც შემოგვენახა ეს ტერმინი (ქორ) საქართველოს ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული თემების//ჯგუფების ტრადიციულ ყოფაში. ხოლო თავდაპირველად, სავარაუდოდ, "ქორ"-ი სწორედ იმგვარი ტიპის სახლს აღნიშნავდა, რომელიც ერთ ჭერქვეშ აერთიანებდა საცხოვრებელ, სამეურნეო და თავდაცვით ელემენტებს.

სავარაუდოა, ტერმინი "ქორწილი"-ც ამ კონტექსტში იქნეს განხილული და იგი შესაძლოა ქორის//სახლის მეწილის ან ქორის//სახლის წულის აზრობრივი მნიშვნელობით იქნეს გააზრებული, მით უმეტეს, რომ ქართული ენის სვანურ დიალექტებში პატარძლის აღმნიშვნელად კვლავ ძველი ქართული სიტყვა "წული"-ია ("წულ"-ი) გამოყენებული.

ანუ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტერმინი "ქორ"-ი მართლაც უძველესი წარმოშობისაა, და შესაბამისად, საერთოქართველური კულტურის გამოძახილია. ფუძე "ქორ"-ი აქტიურად ფიგურირებს ქართულ სულიერ კულტურაშიც, ცნობილია საწესო ფერხული "ქორბელელა". ფერხული "ქორბელელა" აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სრულდება ხატობების დროს.

თუშური "ქორბელელა" ორსართულიანი წრიული ფერხულია: "ქორბელელა იციან ათნიგნობას (ხატის დღეობაში). იმ დღეს...ახალგაზრდების ერთი რიგი

(6-7 პირი) დადგება წრედ მკლავების ერთმანეთის მხრებზე გადაჭდობით. მეორე რიგი მათ მხრებზე შეადგება მეორე თვლად (სართულად) ისეთივე წყობით. დაიწყებენ სიმღერას და ისე ავლენ ხატში. სამჯერ გარშემო შემოუვლიან (ხატს) და იქავე ჩამოვლენ, თუ არ დაეჭვათ, იმ წელს კარგ მოსავალს მოეღიან" (გ. ბოჭორიძე, 1993, გვ. 273).

"ქორბელელის" სასიმღერო ტექსტის რამდენიმე ვარიანტიც ცნობილი, მაგალითად, ბალაურთის წმ. გიორგის ხატთან შემდეგი საგალობელი ითქმოდა:

"ღღესამ ღღეობა ვისია,  
წმიდისი გიორგისია,  
წმინდა გიორგის კარზედა  
ხე ალვად ამოსრულაო,  
გიორგი გალავანზედა  
თქვენ მოყმე გადასრულაო,  
ველში ვმალ დაუჭირავის,  
თქვენ მტრებზე გაქცეულაო"

(გ. ბოჭორიძე, 1993, გვ. 289).

ლაშარის ჯვართან შესასრულებელი "ქორბელელა" ოდნავ განსხვავებული სახისაა:

"ღღესამ ღღეობა ვისია?  
წმიდისა გიორგისია.  
ყმათ აღუმატე გიორგი,  
თუ გინდან მოსახელენი.  
ბურს აღუმატე გიორგი,  
თუ გინდან კოდნი სავსენი.  
ცხვარს აღუმატე გიორგი,  
თუ გინდან რქა—ჯანგიანნი.  
წმინდა გიორგის კარზედა  
ხე ალოთ ამოსულიყო,  
ზედა მოსხმია ყურძენი,  
საქმელად მოწეულიყო.  
ემე შემცოდე ქალ—ვაჟებ  
უდროოდ დაშაულიყო".

(გ. ბარდაველიძე, 1938, გვ. 39-40).

არსებობს ხევსურული "ქორბელელაც":

"ჩვენის ბატონის კარზედა  
ხე ალვად ამასულაო,  
წვერად მაუსხამ ყურძენი,  
საქმელად ჩამოსულაო,  
მაგის უჭმელი ქალ-ვაჟი  
უდროოდ დაშაულაო".

(გ. ბარდაველიძე, 1938, გვ. 42).

თუშეთში ათნიგენობას "ხუთი კაცი დადგებოდა წრედ ერთურთს მხარგადახვეულნი. ამათ მხრებზე დადგებოდა ოთხი კაცი აგრეთვე მხარი-მხარს გაბმულნი, შუაში ფანდურით ხელში დადგებოდა კიდევ ერთი კაცი —

"მეციხოვნე". ეს ქორბელელა წალმა ნელი ტრიალით და ჯვარულის სიმღერით დაიძვროდა საჯარიდან ხატის კარისაკენ საკმაოდ დამრეცი, ძნელადსავალი ფერდობით. ჯვარულს შუაში მდგომი "მეციხოვნე" ამბობდა და მასვე იმეორებდა ქორბელელაში მყოფი ყველა კაცი ერთ ხმაში. ასე მივიდოდნენ ხატის კარზე, იქ სამჯერ შემოტრიალდებოდნენ წალმა და დაიშლებოდნენ. ამბობდნენ, გზად ქორბელელას დაშლა სოფლის ზარალს მოასწავებსო, ამიტომ ყველა ცდილობდა, რომ დაუშლებლად ასულიყვნენ" (გ. ცოცანიძე, 1990, გვ. 148-149).

ვერა ბარდაველიძის დაკვირვებით, ქორბელელას ტექსტის თითქმის ყველა ვარიანტი ლაშარის ჯვარს/წმინდა გიორგის ეძღვნება. მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ქორბელელას ტექსტების ვარიანტების იმ მონაკვეთებზე, რომლებშიც იხსენიება "ხე ალვად" ("ალვის ხე ამოსულაო", "ამ ხეზე ახვეულია ვაზი, რომელსაც მწიფე ყურძენი ასხია" და "მაგის ნახვევი", "მაგის შემცოდე" ანდა "მაგის უქმელი ქალ-ვაჟი (ან "ჭაბუკი") უდროოდ დაშაულაო") და ამ მასალას განიხილავს "სიცოცხლისა და სიუხვის ხესთან" მიმართებით (ვ. ბარდაველიძე, 1968).

მსგავსი ფერხულები მთელ საქართველოში იყო გავრცელებული, ხევში "გერგეტულა" ან "აბარბარე" სრულდებოდა, სვანეთში — "მირმიქელა", "ზედიო", "სამთი ქიშხი", ფშავში — "ფერხისა", მესხეთში — "ზემყნელი", "სამყრელი"...

ცხადია, ყველა ამ ტიპის ქართულ ფერხულს აერთიანებს ერთი მსოფლმხედველობა: *მეფერხულეთა წრის ცენტრში ხშირად ფიგურირებს კოშკი, რეალურად არსებული ან თოვლისაგან აშენებული (სვანეთი). თვით მეფერხულეთა წრეც, როდესაც ერთმანეთის მხრებზე შემდგარი ადამიანები ფერხულს ცეკვავენ, განიხილება, როგორც სართულგზიანი ნაგებობა, ერთგვარი კოშკი თუ ციხე. სვანეთში ერთ ასეთ ხალხურ დღეობა-დღესასწაულს "კოშკობას" (მურყვამობას) უწოდებდნენ; თუშეთში მეფერხულეთა ცენტრში მუსიკოსი დგას და მას "მეციხოვნეს" ეძახიან. საყურადღებოა ფერხულთა სახელწოდებანიც — "ქორბელელა", "ციხე-ბუნა" და ა. შ.*

ცნობილია, რომ კოშკი/ციხე ცენტრისა და მასზე გამავალი ღერძის ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს ხის//დროშის//სალოცავის და სხვა სიმბოლოთა მსგავსად. ამავე დროს, კოშკი/ციხე არა მარტო საკრალური ცენტრის სიმბოლოდ გვევლინება, არამედ ისტორიულადაც ქვეყნის ცენტრის ფუნქციას ასრულებდა (ქ. ალავერდაშვილი, 2007, 68—700).

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ნიკო ბერძენიშვილის დაკვირვება; მისი აზრით, ადამიანთა საზოგადოებრივი გაერთიანების აღმნიშვნელი ძირძველი სოციალური ტერმინებია "გორი (—ქორი) და სახლი (—ციხე)", "ქორი (გორი, გვარი) შენობასაც ნიშნავს და სოციალურ ერთეულსაც, გვარს. ასეთივე შინაარსისაა სახლი (=ციხე) შენობაც და სოციალური ერთეულიც (გვარი)... ტერმინი სახლი (აგრე მრავალმნიშვნელოვანი და დიდად დამკვიდრებული ქართულ ენაში) უთვისტომო არაა. მისი შესატყვისია მეგრული ოხორი" (ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 34—35). ნ. ბერძენიშვილი სხვაგანაც უბრუნდება ამ საკითხს: "გორი სახლად, ქორად, მტკიცე ერთეულად (ერთ ჭერქვეშ) ცხოვრებას გულისხმობს" (ნ. ბერძენიშვილი, 1990, გვ. 36).

ტერმინ "ქორბელელას" შინაარსობრივადაც მჭიდრო კავშირი ეძებნება ქართულ ხალხურ არქიტექტურასთან. ეს ორსართულიანი ფერხული, ცენტრში

მდგომი "მეციხოვნითურთ" სიმბოლურად "ქორ"-ს — სახლს, ციხეს, კოშკს განასახიერებს, ხოლო სიტყვის მეორე ნაწილი "ბელელა" ასევე, ტრადიციული ქართული ხუროთმოძღვრებიდან მომდინარე ტერმინია. მკვლევართა დაკვირვებით, "ბელელი ქართულ ენაში მეტად ძველი ტერმინია. ლინგვისტური მონაცემებით ბელელი ქართულ-ზანურ ენობრივი ერთიანობის ხანას მიეკუთვნება (Климов Г. А., 1964, стр. 50). ხოლო ქართული ენის სვანურ დიალექტებში შემორჩენილია სიტყვა "მებლლე", რომელსაც "პირთამდე სავსე ან ძალიან ვრცელი ნაგებობის" ეპითეტად იყენებენ.

ცნობილია, ბელელი სამეურნეო ნაგებობის სახელია და ამავე დროს, "ქორბელელად დაწყობა", "დაბელვლა" საკულტო ბედლის გადახურვის სტრუქტურასთან დაკავშირებული ტექნიკური ხტრხის აღმნიშვნელი ტერმინებია და გარდიგარდმო დაწყობას ნიშნავს (ვ. ბარდაველიძე, 1974, გვ. 18; ქ. ალავერდაშვილი, 2007, გვ. 73).

აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის ეთნოგრაფიული მასალაც, რომლის თანახმადაც, მთხრობელთა რწმენით, ამ ფერხულების წარმატებით შესრულებასთან იყო დაკავშირებული შემდგომი სამეურნეო წლის მოსავლიანობა-მოუსავლიანობა. ამ ფონზე კი სიტყვის მეორე ნაწილი "ბელელა", ცხადია, სწორედ რომ პირველადი აზრობრივი დატვირთვის მქონეა. უფრო ზოგადად კი, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ტრადიციული საზოგადოების მენტალობით, საწესო ქმედების (ლოცვა, სარიტუალო საგალობელი, ცეკვა, ფერხული) სწორად, კარგად შესრულება აუცილებელი და საჭიროა როგორც ინდივიდის, ასევე მთელი სოციუმის მშვიდობიანობისა და სამყაროში წესრიგის დამყარებისათვის.

ამრიგად, ეთნოგრაფიული მასალით, შესაძლებელია, დღეისათვის მხოლოდ ზოგიერთ მხარეში შემონახული ტერმინის — "ქორ"-ის დაკავშირება უძველეს, საერთოქართველურ ერთიან ენობრივ-კულტურულ სივრცესთან, რაც დასტურდება როგორც მატერიალური, (საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, სამშენებლო ტერმინოლოგია, ხითხუროობის მასალები...), ასევე სოციალური ("ქორწილი", "ქორი"/"გორი"/"გვარი") და სულიერი კულტურის (ფერხულები, ტექსტები, მენტალობა) ერთიანი ნიმუშებით, ერთმანეთისაგან ტერიტორიულად ესოდენ დაშორებულ მხარეებშიც კი როგორიცაა, თუნდაც, სვანეთი, რაჭა, თუშეთი, ხევსურეთი და იმერხვეი.

#### ლიტერატურა

ქ. ალავერდაშვილი, 2007 — ქ. ალავერდაშვილი, საკრალური გეომეტრია, თბ., 2007.

ვ. ბარდაველიძე, 1974 — ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I, ფშავი, თბ., 1974.

ვ. ბარდაველიძე, 1938 — ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები: მსე, I, ტფ., 1938.

ვ. ბარდაველიძე, 1968 — ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სიუხვის ხე ქართველთა სარწმუნოებაში: მსე, №14, თბ., 1968.

- ნ. ბერძენიშვილი, 1990 — ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990.
- გ. ბოჭორიძე, 1993 — გ. ბოჭორიძე, თუშეთი, თბ., 1993.
- მ. გეგეშიძე, 1982 — მ. გეგეშიძე, ეკოლოგიის კულტურულ-ისტორიული და სოციალური პრობლემები საქართველოში, თბ., 1982.
- მასალები... 1976 — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, I, თბ., 1976.
- სულხან-საბა ორბელიანი, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993.
- ა. ქალდანი, 1978 — ა. ქალდანი, კოშკების სამყაროში, თბ., 1978.
- ა. ქალდანი, 1974 — ა. ქალდანი, სვანური საცხოვრებლის ერთი სახე, — ძეგლის მეგობარი, №36, თბ., 1974.
- გ. ცოცანიძე, 1990 — გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1990.
- ივ. ჯავახიშვილი, 1946 — ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I. მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946.
- Климов Г. А., 1964 — Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

## ROZETA GUJEJANI

### ON A COMMON KARTVELIAN LINGUAL AND CULTURAL TERM (*KOR-I*)

On the basis of ethnographic and written record materials (Sulkhan-Saba Orbeliani) the paper discusses the idea that the word *kor-i* is of Common Kartvelian origin and is one of the reflections of the common Kartvelian cultural unity. The word *kor* meaning an "edifice" used both for human abode and for husbandry purposes occurs in several historical and ethnographic communities of the country (in Svaneti, Tusheti, Racha, Khevsureti...) and in Shavsheti (Imerkhevi), a historical part of Georgia, now beyond its frontiers. The definition of the word in the dictionary compiled by Sulkhan-Saba Orbeliani conveys completely the ethnographic meaning of the word in Svaneti, Tusheti, Racha, Khevsureti and in Imerkhevi, the remote, in terms of historical and geographic factors, province. In addition to this *kor* in Svan incorporates the meaning of a building used for defensive purposes.

In spite of the separate use of the word it also occurs as a stem or part of the composed units in various Georgian words and ethnographic terms denoting concepts of both material (folk architecture, construction tools,...) and spiritual (songs, *perkhuli* dances...) cultures. Of particular importance is *perkhuli korbeghela*, expressing the symbolic meaning of a "tower", "castle".